ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N7

ქ.თბილისი 22 დეკემბერი, 2017 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
რამინა ბერაძე
გიორგი გაბაშვილი
გულია გოცირიძე
ლევან დავითაშვილი
მარინა დათუკიშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
ირაკლი ზარქუა
ფრიდონ ინჯია
ერეკლე კუხიანიძე
ნინო ლაცაბიძე
ქეთევან მამულაშვილი
ირაკლი ნადირაძე
შალვა ოგბაიძე
დათო რურუა
თამარ ტალიაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ვლადიმერ ძნელაძე
ლევან ხაბეიშვილი
ლევან ჯაფარიძე
ჯაბა ჯიშკარიანი
ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე
თემურ გორგაძე
ოთარ გრიგოლია
ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი
გოჩა თევდორაძე
თევდორე ისაკაძე
ანა ლაშხი
ლილე ლიპარტელიანი
თინათინ ნიბლოშვილი
ელენე ოზაშვილი
დათო ჟღენტი
რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე
ავთანდილ ცინცაძე
დავით ჭელიძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ილია ჯიშკარიანი
ქეთევან ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მერაბ მამულაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ უფროსი თეიმურაზ ბოლოთაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი ილია ელოშვილი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარე ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ სამწუხაროდ, გრძელდება ოპოზიციის წარმომადგენლების ლანძღვა, როგორც საკრებულოში, ასევე პარლამენტში და ტელეეთერებში, რაც ძალიან ცუდია, რადგან ამას უყურებს მოსახლეობა და რჩება შთაბეჭდილება, რომ დეპუტატებს გვავიწყდება ჩვენი საკეთებელი საქმე - ხელისუფლების ამოცანაა აკეთოს ქალაქის და მოსახლეობისთვის საჭირო საქმე, ხოლო ოპოზიციის - გაწიოს ჯანსაღი ოპონირება და კრიტიკა. აქიდან გამომდინარე, ასე გაგრძელება არ შეიძლება და დააყენა წინადადება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და შესაბამისი დარგის ექსპერტებთან ერთად, დაიწყოს ეთიკის კოდექსზე მუშაობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ მიმართა ირაკლი ნადირაძეს, რომ საკრებულოს უმრავლესობის წევრები მოწოდებული არიან იყვნენ კონსტრუქციულები და საქმეზე ორიენტირებულები და კარგი იქნება თუ ამ მოწოდებას ოპოზიციონერი დეპუტატები გაიზიარებენ, რადგან მათი მხრიდან არაერთი შეურაცხმყოფელი განცხადება გაკეთებულა არა მარტო საკრებულოში და ტელეეთერში, არამედ სხვა სივრცეებშიც. მისი თქმით, ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი და უმჯობესია, დრო დავუთმოთ საქმის კეთებას და არა პოლიტიკურ კინკლაობას და შეურაცხყოფას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" თავმჯდომარე გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, გააფორმა ხელშეკრულება, მოსახლეობისთვის საახალწლო მილოცვის ვიდეო-რგოლის გადასაღებად, რაშიც უნდა გაიხადოს ასი ათასობით ლარი, თუმცა შეეძლო ეს გაეკეთებინა უფასოდ. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს კომპანია არის „ქართული ოცნების" შემომწირველი და როგორც ჩანს, კომპანიას სურს, რომ პარტიისთვის შეწირული 60000 ლარი მიიღოს უკან. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ ხელშეკრულების მიხედვით, ვიდეო-რგოლი უნდა შედგებოდეს 40 წამისგან და წამში უნდა იყოს 25 კადრი და ისაუბრა, თუ რა დატვირთვა აქვს 25-ე კადრის მოთხოვნას და რისთვის არის საჭირო. მისი თქმით, ეს უფრო ყვითელი პრესის თემაა და ყველა სერიოზულმა მკვლევარმა იცის, რომ 25-ე კადრის გამოყენებას აზრი არ აქვს, რადგან ეს არის „ორმოცი წლის წინ არსებული ლეგენდა, რომ შეგიძლიათ ფარული მესიჯი, ფარული კადრი ჩაატიოთ წამში 25-ე კადრად, რაც გამოიწვევს აუდიტორიაზე და მაყურებელზე ზემოქმედებას". მართალია, ეს არ დასტურდება არც ერთი კვლევით, მაგრამ ბევრ ქვეყანაში მაინც აკძალულია მისი მოთხოვნა, რადგან ბოლომდე გამოკვლეული და დადგენელი არ არის, თუ რა ზეგავლენას ახდენს ადამიანის ქვეცნობიერზე. გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ მხოლოდ „ძალიან არაკომპეტენტური და ავანტიურისტი პიარშიკები" აძლევენ კლიენტებს რჩევას, რეკლამისთვის გამოიყენონ ფარული 25-ე კადრის ტაქტიკა და მერიის მოთხოვნას, რომ ახალი წლის მილოცვაში ჩამალული იყოს 25-ე კადრი, „თბილისელებზე სასაცილო და უაზრო ექსპერიმენტის ჩატარება" უწოდა. აქედან გამომდინარე, გიორგი გაბაშვილმა ითხოვა განმარტება, რა მიზნით არის მოთხოვნილი, რომ წამში შედიოდეს 25 კადრი და განაცხადა, თუ საუბარია მის მიერ ხსენებული მეთოდის გამოყენებაზე, მაშინ „მერიის ყველა ექვსიათასლარიანი პრესთანამშრომელი უთუოდ იმსახურებს სამსახურიდან დათხოვნას და თბილისის მოსახლეობა არ იმსახურებს, რომ მასზე ასეთ სასაცილო და გაუმართლებელ ექსპერიმენტებს ატარებდნენ".

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ლევან ხაბეიშვილი გამოეხმაურა ირაკლი ნადირაძის ინიციატივას და აღნიშნა, რომ ძალიან ცუდია, როდესაც ხელისუფლება პოლიტიკური კინკლაობის, კრიტიკის და ოპოზიციის წარმომადგენლების მხრიდან თუნდაც

არასწორი განცხადებების შემდეგ გადადის პირად შეურაცხყოფაზე. მან ასევე ისაუბრა გიორგი გაბაშვილის მიერ ნახსენებ ხელშეკრულებაზე და განაცხადა, რომ მხოლოდ ამ ხელშეკრულებით არ შემოიფარგლება საახალწლო სარეკლამო რგოლებში გასახდელი თანხა, რადგან ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ამ მიმართულებით, სულ უნდა დაიხარჯოს 566000 ლარი და მიმართა საკრებულოს უმრავლესობას, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, რამდენად ადეკვატურია, რომ ნახევარ მილიონ ლარზე მეტი უნდა გადავიხადოთ სარეკლამო მომსახურეობისთვის. ლევან ხაბეიშვილმა ასევე, ისაუბრა პრემიერ-მინისტრის მიერ პარლამენტში, საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაზე და დაინტერესდა, ეთანხმება თუ არა საკრებულოს უმრავლესობა პრემიერ-მინისტრს, რომელიც ფიქრობს ამ საკითხის გადახედვას და მისცემენ თუ არა თბილისელებს პირობას, რომ მომავალ წელს ბაღები იქნება უფასო.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით კონკრეტულად დაგეგმილი ცვლილებები არ არსებობს, თუმცა, დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე, ბაღებზე მოთხოვნა ძალიან მაღალია, განხილვადია მოსაზრება, რომ მაღალანაზღაურებადი მშობლების შვილები და სოციალურად დაუცველი ბავშვები, ამ მიმართულებით, არ იყვნენ ერთიან პირობებში. გიორგი ტყემალაძემ აქვე აღნიშნა, რომ მომავალში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება იქნება თბილისელების და იმ ადამიანების სასარგებლოდ, რომლებსაც არ აქვთ საშუალება, რომ მათი შვილები იყვნენ კიდევ უფრო უკეთეს პირობებში და განაცხადა, რომ „ჩვენ მივდივართ ზუსტად იმ გზით, რომ ბაღი იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და კიდევ უფრო მაღალი ხარისხის და სტანდარტის, ვიდრე დღესაა“.

ლევან ხაბეიშვილმა, გიორგი ტყემალაძის მიერ გაკეთებული განცხადებიდან გამომდინარე, იკითხა: „როგორ გავიგოთ, შესაძლებელია ბაღები მომავალ წელს არ იყოს უფასო გარკვეული ჯგუფისთვის?“

გიორგი ტყემალაძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე, გარდა იმისა, რომ კანონი გვავალდებულებს ბაღი იყოს უფასო, რაიმე სახის გადაწყვეტილება მიღებული არ არის, საუბარია მხოლოდ მოსაზრებაზე და არანაირი კონცეფცია ამ მიმართულებით არ არსებობს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დავით უჯმაჯურიძემ განაცხადა, რომ მათი გუნდი მოწოდებულია კონსტრუქციული მუშაობის და კორექტულობისკენ. მისი თქმით, პარლამენტში მოხდარი ინციდენტი არავისთვის არის მოსაწონი, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პრემიერ-მინისტრს იმხელა თავდაჭერილობა და მოთმინება აქვს, რომ მისი წყობიდან გამოყვანა ძალიან რთულია და განაცხადა „ნეტა გიორგისნაირი კაცი იყოს ყველა ქართველი და ის ფასეულობები, რომლებიც მას გააჩნია, ნეტა ყველა ქართველ ადამიანს გააჩნდეს... მაშინ საქართველო გადარჩება“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ბექა დავითულიანი გამოეხმაურა ირაკლი ნადირაძის სიტყვებს, რომ შესამუშავებელია ეთიკის კოდექსი და მიმართა მას „გეთანხმები ირაკლი, შესამუშავებელია იმისთვის, რომ პირველ რიგში, თქვენ გააკონტროლოთ თქვენი ეთიკა და სწორად აღვიქვათ და მოვრიგდეთ, რაში მდგომარეობს ეთიკა“. ბექა დავითულიანმა ისაუბრა გიორგი გაბაშვილის მიერ ნახსენებ საახალწლო რეკლამაზე და აღნიშნა, რომ „ჩვენ დავგეგმეთ მასშტაბური ახალი წელი“ და რამდენიმე ხელშეკრულების გაფორმება პირდაპირი შესყიდვის გზით მოხდა იმიტომ, რომ საახალწლო ღონისძიებები ჩვენი ხედვის შესაბამისად არ იყო შემუშავებული. რაც შეეხება იმას, თუ რატომ გაფორმდა ხელშეკრულება „ქართული ოცნების“ შემომწირველ კომპანიასთან, აღნიშნა, რომ შემომწირველი ძალიან ბევრი კომპანიაა და ამის გამო, ვერავის დავბლოკავთ. ბექა დავითულიანის თქმით, კარგია, ყველაფრის შესყიდვა მოხდეს ტენდერის ჩატარების გზით, თუმცა ამ შემთხვევაში რომ ამ გზით წავსულიყავით, საახალწლო ღონისძიებების შესახებ კლიპის გაშვება მოგვიწევდა მარტში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ვახტანგ შაქარიშვილმა ისაუბრა პარლამენტში მომხდარ ინციდენტზე და აღნიშნა, ოპონირების ასეთი ფორმა არ არის მხოლოდ

პოლიტიკური კულტურის ანომალიური გამოხატულება, ეს არის ადამიანური ბუნების და მორალის დარღვევა. იგი დაეთანხმა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ „ერთადერთი რეცეპტი არის ნაციონალური მოძრაობის აბსოლუტურ პოლიტიკურ იგნორში ყოფნა“, თუმცა მისი თქმით, ეს მათზე არ მუშაობს ისევე, როგორც არ მუშაობს არც ხელის გაწვდენა და არც პატივისცემის გამოხატვა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა მარინა დათუკიშვილმა ისაუბრა პარლამენტში მომხდარ ინციდენტზე და აღნიშნა, რომ დასმული იყო კორექტული შეკითხვები, რომლებზეც პასუხის არ არსებობის გამო მოხდა ის, რაც მოხდა. მან მიმართა უმრავლესობი წევრებს „თქვენ თბილისელებმა აგირჩიოს იმიტომ, რომ აკეთოთ საქმე“ და ითხოვა, რომ ყველამ ვიფიქროთ საკრებულოში ეთიკის კომისიის შექმნაზე, რომელიც კონკრეტულ ადამიანებს დაატრენინგებს და ასწავლის „რისთვის აირჩია ხალხმა, რატომ უნდა იყვნენ საკრებულოში, როგორ უნდა მოიქცნენ, როგორ ჩაიცვან, ხელები რა მიმართულებით უნდა გაიშვირონ და ბოთლები რა მიმართულებით ისროლონ“.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ერთ არასასურველ ფაქტზე ამდენი კომენტარის გაკეთება არ არის საჭირო და მიუღებელია როგორც ერთმანეთისთვის შეურაცხყოფის მიყენება, ასევე შეურაცხყოფის მაპროვოცირებელი საქციელი. მისი თქმით, არავითარი ეთიკის კომისია და კოდექსი არ სჭირდება იმას, რომ ყველამ ვიგრძნოთ პასუხისმგებლობა და ამა თუ იმ საკითხზე, ყოველგვარი შეურაცხყოფის გარეშე, ვიკამათოთ შინაარსობრივად და საქმიანად.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე დავით უთმელიძემ ირაკლი ნადირაძეს, როგორც ეთიკის კოდექსის შემუშავების ინიციატორს, მიმართა „ძალიან გთხოვ, თანაფრაქციელებთან გქონდეს კომუნიკაცია, რომ არ გადავიდნენ ზღვარს“, რადგან ხშირია შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური შეფასებები გადადის პირად შეურაცხყოფაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ილია ჯიშკარიანმა განაცხადა, რომ მიზანშეწონილი არ არის იმ ადამიანების საქციელზე საუბარი, რომლებიც აქ არიან და უმჯობესია ვისაუბროთ გასაკეთებელ საქმეზე. მისი თქმით, კანონის გარდა, არსებობს ზნეობა, ვაჟკაცობა, კდემამოსილება და აჯობებს ვითანამშრომლოთ ამ ფარგლებში და თუ ვთვლით, რომ დღევანდელი დღე არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი, „დავიწყოთ დღევანდელი დღით“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა სხდომაზე არსებულ მდგომარეობას უწოდა „ვერბალური კორიანტელი“ და განაცხადა, რომ ამისთვის არ უნდა გვეცალოს მაშინ, როდესაც „ჩვენი ქვეყანა არ არის მაინცდამაინც კარგ მდგომარეობაში - ეკონომიკური და პოლიტიკური საზღვრები ისე ირღვევა, რომ დამცველი არავინ არის, ლარი ისეთ მდგომარეობაშია, რომ ეკონომიკის წინსვლა - რა გითხრათ, რით გაგახაროთ, დაუცველობის შეგრძნება უკვე ოჯახების ზღურბლს შიგნით შემოდის ნელ-ნელა, კრიმინალი ისეთ ვითარებაშია, რომ განმკითხავი ან არ არის, ან ვიღებთ ისეთ ღონისძიებებს, რომელიც არაეფექტურია“. ნიკოლოზ ვაჩეიშვილის თქმით, სწორედ ამ კითხვებზე რომ პასუხის გაცემა იქნებოდა უფრო სწორი და კონსტრუქციული, ვიდრე სიტუაციის გადაზრდა იმ ემოციურ მდგომარეობაში, რაც ყველამ ვიხილეთ და ეხლაც დროს ვკარგავთ ამის განხილვაში.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა ნიკოლოზ ვაჩეიშვილს „კითხვაც არის და კითხვაც“, ამ თემაზე უკვე საკმარისზე მეტი ვისაუბრეთ და კიდევ ზედმეტი ხაზგასმა აღარ არის საჭირო.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა გოჩა თევდორაძემ განაცხადა, რომ უკვე წესად იქცა „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური ძალების კინკლაობა საკრებულოში. მისი თქმით, პარლამენტში მომხდარი ინციდენტი ღირსებას არ მატებს არც ერთ მხარეს და ამ თემის საკრებულოში გადმოტანა მათთვის სასურველი არ უნდა ყოფილიყო. ასევე, წესად არის ქცეული „ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიანი მმართველობის გახსენება, რომლის შედეგიც არის ის, რომ უკვე ხუთი წელია ხელისუფლებაში არის „ქართული ოცნება“ და მუდმივად ერთი და იმავეზე საუბარს, აჯობებს გადავიდეთ საქმის კეთებაზე. გოჩა თევდორაძემ აღნიშნა, რომ პრემიერ-მინისტრის მიერ

გაცხადებული მოსაზრება საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით, მისივე თქმით, „ნედლი იდეა“, იმედის მომცემია, რომ რეალური განხილვის შემდეგ, ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული და სიღარიბის პრობლემების ფონზე, არ განხორციელდება უახლოეს წლებში მაინც.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ არ აპირებდა სიტყვით გამოსვლას, თუმცა რადგან სხდომას ესწრება ჯაბა ჯიშკარიანი, რომელმაც მისი თქმით, საკრებულოს წინა სხდომაზე, დაადანაშაულა, რომ პოლიტიკური ნიშნით მოქალაქეებს უწვეტდა სოციალურ დახმარებას და განაცხადა, რომ ამას აკეთებს უკვე სამი წელია. ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ სოციალური სამსახურის უფროსი იყო როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ასევე „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, თუმცა სოციალური დახმარების გაცემის და შეწყვეტის საკითხს ვერასდროს წყვეტდა და ვერც ის წყვეტს, ვინც ეხლა არის ამ თანამდებობაზე, რადგან ამასთან დაკავშირებით, გენერირებულ სიებს აკეთებს სააგენტო, რომელიც შემდგომ მიდის სერვის-ცენტრში, ხოლო ეს უკანასკნელი მხოლოდ დოკუმენტურად აფორმებს. ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ჯაბა ჯიშკარიანის ბრალდება არის ყოვლად უსაფუძვლო და მიმართა მას „თუ ასე გააგრძელებთ ჩემი საქმიანი რეპუტაციის შელახვას, სასამართლოში შევხვდებით“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ გაიზიარებს გოჩა თევდორაძის მოსაზრებას, რომ აქცენტი გავაკეთოთ საქმის კეთებაზე და არა კინკლაობაზე, „რადგან ჩვენ, უმრავლესობას, როგორც არასდროს, გვაქვს ეს ვალდებულება საზოგადოების წინაშე“, რომელიც არ აქვს ოპოზიციას და აქედან გამომდინარე, უმრავლესობა დაინტერესებული უნდა იყოს კონსტრუქციული. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ კომისიების სხდომების ფარგლებში, ოპოზიციის წარმომადგენლები ყველა კითხვაზე იღებენ არგუმენტირებულ პასუხებს, საკრებულოს სხდომაზე თუ ტელეეთერის საშუალებით მაინც აგრძელებენ უსაფუძვლო ბრალდებებს. ირაკლი ზარქუამ მიმართა გიორგი გაბაშვილს „25-ე კადრი არ სჭირდება არც კახა კალაძეს და არც ჩვენს გუნდს... ეს ალბათ, თქვენი წარსულის გამოცდილება გალაპარაკებთ, ალბათ ასეთი კომუნიკაცია გქონდათ საზოგადოებასთან“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილის თქმით, ეთიკის კოდექსის შემუშავებასთან დაკავშირებით წინადადება მისასალმებელია, იმ პოლიტიკური გუნდის მხრიდან, რომელიც არა მხოლოდ ოპონენტებს, არამედ საზოგადოებას მიმართავდა ტერმინოლოგიით „სულს ამოგხდით“ და განაცხადა, რომ ეთიკა არ გულისხმობს მხოლოდ ზედაპირული ქცევის პროტოკოლს, ეს არის ზნეობა და მორალი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ილია ელოშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

3. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: თეიმურაზ ბოლოთაშვილი

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“;

მომხსენებელი: თეიმურაზ ბოლოთაშვილი

5. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: მერაბ მამულაშვილი

6. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: მერაბ მამულაშვილი

7. „ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.010.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

მომხრე - 43

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ილია ელოშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილემ (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძემ. მან ისაუბრა ილია ელოშვილის წარმატებულ კარიერაზე, პიროვნულ და პროფესიულ თვისებებზე და იმედი გამოთქვა, რომ მისი მოღვაწეობა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში იქნება წარმატებული და ბევრი სიკეთის მომტანი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ილია ელოშვილის შემართება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის დიდი შენაძენია და წარმატებები უსურვა მას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე რამინა ბერაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი კანდიდატურა მისასალმებელია, მისი შრომითი საქმიანობა და წარმატებული კარიერა იძლევა იმედს, რომ ღირსეულად შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ თბილისის მოსახლეობის ხვალინდელი დღე იყოს უკეთესი და წარმატებები უსურვა მას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მარიკა დარჩიამ წარმოდგენილი კანდიდატის მიმართ გამოხატა პატივისცემა და დაინტერესდა, არის თუ არა ცნობილი ის მიმართულებები, რომლებიც იქნება მისი კურაციის სფეროში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ ილია ელოშვილს საკმაოდ წარმატებული კარიერა ჰქონდა ენერგეტიკის სფეროში და აქედან გამომდინარე, დაინტერესდა გაეცნობა თუ არა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წერილს, რომელიც გაგზავნილი იყო თბილისის მერთან და განიხილავს თუ არა მათ შეთავაზებას, რომ კომუნალური ვაუჩერის სუბსიდირებაში მოიხსნას ქველიმიტები და დენის, წყლის და დასუფთავების გადასახადს დაემატოს ბუნებრივი აირის კომპონენტი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ლევან ხაბეიშვილმა ილია ელოშვილს თბილისელებისთვის სასიკეთო სამიანობაში წარმატებები უსურვა, აღნიშნა, რომ დედაქალაქის მერის მოადგილის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი უნდა იცნობდეს მერიის სტრუქტურას და ქალაქში არსებულ პრობლემებს და აქედან გამომდინარე, დაინტერესდა იცის თუ არა მან თბილისში რამდენი საქალაქო სამსახურია, რამდენი უბნის სამსახურია და რამდენი სოციალურად დაუცველი ადამიანია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა დაინტერესდა იმ მიმართულებებით, რომლებიც შევა ილია ელოშვილის კურაციის სფეროში.

ილია ელოშვილმა საკრებულოს წევრების მიმართ გამოხატა პატივისცემა და განაცხადა, რომ მისი კარიერული წარმატებების და საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობის მიუხედავად, ფიქრობს, რომ აღნიშნულ თანამდებობაზე წარდგენა მისთვის ყველაზე საპასუხისმგებლოა და კონსტრუქციულ რეჟიმში მუშაობის მზადყოფნა გამოთქვა. მან უპასუხა დასმულ შეკითხვებს და აღნიშნა, რომ მისი კურაციის სფეროში იქნებიან გამგეობები და ამ მიმართულებით ფიქრობს, რომ გამგებლებს და მერიის სამსახურებს შორის კომუნიკაცია უნდა იყოს ორმხრივი და ღია, რადგან მერიაში გაკეთებული ყველა საქმე უნდა მივიდეს მოქალაქეებამდე და ამის პირდაპირი აღმასრულებლები არიან გამგეობები. მისი აზრით, ამა თუ იმ რაიონის გამგებელმა ყველაზე უკეთ უნდა იცოდეს რაიონში არსებული და ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები და შესაბამისად, მასვე უნდა ჰქონდეს არსებული პრობლემების გადაჭრის საუკეთესო ხედვა. პრობლემები კი ყველა მიმართულებით მრავლადაა და მუდმივად ვიმუშავებთ, რომ საქალაქო სამსახურებმა მიიღონ სწორი ინფორმაცია, არასდროს მოდუნდნენ და ჰქონდეთ მხარდაჭერა, რომ იმუშაონ გამართულად. მისი თქმით, არის მოსაზრება, რომ გამგეობების გარდა, მისი კურაციის სფეროში შევა კიდევ რამდენიმე მიმართულება საქალაქო სამსახურების კუთხით, თუმცა ამ საკითხზე

დარწმუნებით საუბარი შესაძლებელი იქნება კონკრეტული ბრძანების გამოცემის შემდეგ. რაც შეეხება ტარიფებს, აღნიშნა, რომ ისინი შედგება სამი ან ოთხი კომპონენტისგან, რომლებიც ერთობლიობაში ქმნის ერთ ტარიფს, რომელსაც ამტკიცებს მარეგულირებელი კომისია. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ტარიფების პროგნოზირება და სწორედ იმიტომ, რომ ტარიფები იყოს სამართლიანი და შეესაბამებოდეს იმ კონკრეტულ მოცემულობას, რომლის დროსაც ხდება მისი დადგენა, გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისია. ილია ელოშვილმა იმედი გამოთქვა, რომ ტარიფები არ გაიზრდება, თუმცა თუ ეს მაინც მოხდება, ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ეს ნაკლებად მტკივნეულად აისახოს თითოეულ მოქალაქეზე. განაცხადა, რომ აუცილებლად გაეცნობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წერილს და აცნობებს, თუ რა აზრი ექნება მათ შეთავაზებებზე. კითხვებზე თუ რამდენი საქალაქო სამსახური და რამდენი სოციალურად დაუცველი მოქალაქეა თბილიში, აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის საკითხში დეტალურად გარკვეული არ არის, თუმცა იცის, რომ დაახლოებით ათამდე საქალაქო სამსახური ასობით ათასი სოციალურად დაუცველი ადამიანია თბილისში. მისი თქმით, დედაქალაქის ხელისუფლების მთავარი ამოცანა უნდა იყოს სოციალურად დაუცველი ადამიანების რიცხვის შემცირება, რადგან თბილისის ბიუჯეტის 35% მიემართება ამ მიმართულებით და თუ ამ რიცხვის შემცირება მოხდება ეკონომიკური განვითარების ფონზე, გამოთავისუფლებული თანხის მიმართვა შესაძლებელი იქნება ქალაქის ეფექტური განვითარების და ცხოვრების დონის გაუმჯობესებისკენ. ილია ელოშვილმა აღნიშნა, რომ ფიქრობს, საქალაქო სამსახურების კუთხით, ჩაიბარებს ეკონომიკურ მიმართულებას, რომლის განვითარებასაც, ყველა დონეზე, უნდა დაეთმოს მეტი ყურადღება და მოქალაქეებს უნდა მიეცეთ განვითარების რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობა.

ირაკლი ნადირაძემ მადლობა გადაუხადა პასუხებისთვის და დაინტერესდა, თუკი გაიზრდება ტარიფები, როგორი იქნება ილია ელოშვილის პირადი პოზიცია კომუნალური სუბსიდირების დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით.

ილია ელოშვილმა აღნიშნა, რომ სოციალური დახმარება არის თითოეული ჩვენგანის აკუმულირებული შემოსავალი, რომელსაც გამოვყოფთ იმ თანამოქალაქეებისთვის, რომლებსაც განსაკუთრებით ესაჭიროებათ ეს თანხა და თუკი ჩვენ დავინახავთ, რომ ტარიფები გაიზარდა იმგვარად, რომ მოსახლეობის ყველაზე გაჭირვებულ ნაწილს ესაჭიროება ამ კუთხით დახმარება, აუცილებლად გაიზრდება კომუნალური სუბსიდირების დაფინანსება, თუმცა უნდა აღინიშნოს ის, რომ ეს საკითხი დეტალურად უნდა გაანალიზდეს იმ მომენტისთვის არსებული კონკრეტულ მოცემულობის შესაბამისად, რადგან ამ შემთხვევაში იხარჯება არა ვინმეს საკუთარი ფული, არამედ გადამხდელების თანხები.

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ ილია ელოშვილის პიროვნულ თვისებებზე შეუძლია თქვას, რომ კარგი ადამიანი და მოსაუბრეა, თუმცა, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ვერ დაინახა საქმიანი კონცეფცია და ჩამოყალიბებული ხედვები.

ილია ელოშვილმა აღნიშნა, რომ მერიის სტრუქტურა საკმაოდ მოცულობითია და შესაძლებელია რომელიმე კონკრეტულ კითხვაზე ვერ გაეცა სწორი პასუხი იქიდან გამომდინარე, რომ ამ ეტაპზე მისთვისაც რთული პერიოდია და განაცხადა, რომ სამომავლოდ ეცდება, ყველა კითხვაზე ჰქონდეს ამომწურავი პასუხი.

ირაკლი ხმალაძემ აღნიშნა, რომ როდესაც კითხვას სვამ იმ მიზნით, რომ მასზე პასუხი დაგეხმაროს გადაწყვეტილების მიღებაში, ეს გასაგებია, თუმცა გაუგებარია ის, რომ საქალაქო სამსახურების რაოდენობის ცოდნა მიიჩნიო მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვადასხვა მიმართულების სტრატეგიულ ხედვებზე უფრო მნიშვნელოვნად.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ილია ელოშვილის მხრიდან, დასმულ კითხვებზე გაცემული იყო საინტერესო და შინაარსობრივი პასუხები, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს გაუადვილებს გადაწყვეტილების მიღებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ილია ელოშვილთან თანამშრომლობის გამოცდილება არ აქვს, მისი კანდიდატურა წარადგინა კახა კალაძემ, რომლის გადაწყვეტილებასაც მხარს უჭერს, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამას ემატება ილია ელოშვილის სტრატეგიული, გააზრებული და შინაარსიანი ხედვა დღეს არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა მარინა დათუკიშვილმა აღნიშნა, რომ თბილისის 2018 წლის ბიუჯეტში ეკონომიკური განვითარებისთვის გათვალისწინებულია ბიუჯეტის 0.34%, რაც ამ მიმართულების გაძლიერებისთვის წარმოუდგენლად მცირე თანხაა და იქიდან გამომდინარე, რომ ეკონომიკური სფერო შესაძლებელია იყოს ილია ელოშვილის საკურატორო სფეროში, დაინტერესდა, აპირებს თუ არა სამომავლოდ, ამ კუთხით, ბიუჯეტის კორექტირებაზე წარადგინოს წინადადებები. მარინა დათუკიშვილი დაეთანხმა ილია ელოშვილის სიტყვებს, რომ ბიუჯეტიდან „იხარჯება არა ვინმეს საკუთარი ფული, არამედ გადამხდელების თანხები“ და განაცხადა, რომ თუ ამას გავითვალისწინებთ სოციალურად დაუცველებისთვის კომუნალური სუბსიდირების გაზრდის მიმართ, ხომ არ აჯობებს, ასევე მგრძნობიარეები ვიყოთ მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული რამდენიმე თანამშრომლის მიმართ, რომლებსაც აქვთ არანორმირებულად მაღალი ანაზღაურება და მათი საქმიანობა ნამდვილად არ არის შეფასებული იმ თანხად, რომელიც დღეს გაწერილია მერის გადაწყვეტილებით.

ილია ელოშვილმა ეკონომიკური განვითარების კუთხით გამოყოფილ დაფინანსებაზე აღნიშნა, რომ ნამდვილად არ არის საკმარისი, თუმცა ამ მიმართულებით დაგეგმილია სამუშაოები, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან სახსრების მოზიდვასთან დაკავშირებით. მისი თქმით, თბილისში ეკონომიკის განვითარება შესაძლებელია არა მხოლოდ კორპუსების მშენებლობით და მიწების გადაცემის საშუალებით, არამედ, უნდა ჩამოყალიბდეს სწორი ხედვა, რომ ყველა შესაძლო დარგის მიმართულებით მოხდეს ეკონომიკის განვითარება, რაშიც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ გამგეობებმა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და თუნდაც, თითოეული მოქალაქის ჩართულობით. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ მაღალ ანაზღაურებებზე განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით, ეს იყო დროებითი ხელშეკრულებები და იმ ადამიანებს ანაზღაურება მიეცათ შესრულებული სამუშაოს და დავალებების მიხედვით, ხოლო ზოგადად, ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ანაზღაურება, რომელიც შეადგენს რამდენიმე ათას ლარს, შესაძლებელია მოგვეჩვენოს, რომ არის ძალიან მაღალი. ილია ელოშვილის თქმით, მუდმივად იმაზე საუბარს, რომ სოციალური დახმარება არ არის საკმარისი, აჯობებს ვეცადოთ, ამ კუთხით დაფინანსება იყოს მიზნობრივი, სწორად გათვლილი, ყოველთვის მივიდეს ადრესატამდე და არსებული მოცემულობის გათვალისწინებით, განვავითაროთ ეკონომიკა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ დღეის მდგომარეობით, კომუნალური ვაუჩერის სუბსიდირება განსაზღვრულია არა უმეტეს 106 ლარით, ხოლო ანაზღაურება ხდება ფაქტობრივად გაწეული დანახარჯის მიხედვით და კითხვით მიმართა ილია ელოშვილს - თუ ენერგომატარებლებზე გაიზრდება ფასი, განიხილავთ თუ არა კომუნალური ვაუჩერის დაფინანსების გაზრდის ან ბუნებრივი აირის სუბსიდირების საკითხს.

ირაკლი ხმალაძემ განაცხადა, რომ გაუგებარია ენერგომატარებლებზე ფასის გაზრდაზე რატომ კეთდება აქცენტი მაშინ, როდესაც ეს საკითხი არ არის გადაწყვეტილი და რა საჭიროა მომავალში რაღაც დაშვებებზე გაკეთდეს პროგნოზი.

ილია ელოშვილმა განმარტა, რომ საქართველოს მოსახლეობას და თბოსადგურებს მიეწოდება ე.წ. სოციალური გაზი, რომელიც კომერციულ ფასზე ორჯერ უფრო იაფია, შესაბამისად, თითოეული მოქალაქისთვის ბუნებრივი აირი უკვე სუბსიდირებულია და კიდევ ერთხელ

აღნიშნა, რომ თუ ამ მიმართულებით ფასები გაიზრდება ისე, რომ მოსახლეობის ყველაზე გაჭირვებულ ნაწილს დასჭირდება ამ კუთხით დახმარება, არსებული მოცემულობის გათვალისწინებით, მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება, ხოლო დღეს, მან დადოს პირობა, თუ რა და როგორ იქნება მომავალში, შეუძლებელია, რადგან ვერ „განჭვრეტს მომავალს“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

ილია ელოშვილმა საკრებულოს წევრებს მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის და იმედი გამოთქვა, გაამართლებს მათ მოლოდინს.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია სამი სახის ცვლილება: პროექტის თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - განკარგულებას, უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც ასახული იქნება საკითხის მიღების მიზეზი, მიზანი, საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, პროექტის ავტორი და წარმდგენი; ზუსტდება დღის წესრიგში ცვლილების შეტანის საკითხი, კერძოდ, სხდომის დღის წესრიგში საკითხის დამატება, ამოღება, გადატანა ან რიგითობის შეცვლა; ასევე, გასწორდება ტექნიკური ხარვეზი და განისაზღვრება, რომ იმ სტრუქტურული ერთეულის ინიცირებულ საკითხს, რომლის ხელმძღვანელი არ არის მთავრობის წევრი, წარადგენს ამავე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

3. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ უფროსმა თეიმურაზ ბოლოთაშვილმა და განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს რგოლის ამოღება ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების განხილვის და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებების გაცემის პროცესებიდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ თავმჯდომარე გიორგი გაბაშვილის თქმით, საბჭოს დაუშვია არაერთი შეცდომა, თუმცა ამ საკითხის დატოვება მხოლოდ ბიუროკრატიის ფარგლებში და ექსპერტების ჯგუფის

არ არსებობა არასწორია. ეს არის მიმართულება, სადაც საჭიროა საექსპერტო ცოდნა, რომელსაც ვერ მოთხოვ სამსახურის წარმომადგენლებს, რადგან ისინი არიან აღმასრულებლები და არა მეცნიერები და მათ მოვალეობაში არ შედის კვლევის ჩატარება. აქედან გამომდინარე, უფრო სწორი გადაწყვეტილება იქნება არა ზონალური საბჭოს ამოღება, არამედ მისი გაძლიერება და მისი დაკომპლექტება იმ მიუკერძოებელი ადამიანებით, რომლებისთვისაც პოლიტიკური ზეგავლენა არ იქნება მნიშვნელოვანი ფაქტორი და საექსპერტო მოსაზრებებს შესთავაზებენ მერს. გიორგი გაბაშვილის აზრით, ამ გადაწყვეტილებით, დარტყმის ქვეშ დადგება საქმეც და მერიაც, რომელსაც საზოგადოება პირდაპირ მოსთხოვს პასუხს და დაინტერესდა, ფიქრობს თუ არა იგივეს არქიტექტურის სამსახურის უფროსი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა განაცხადა, რომ ეს არის უკან გადადგმული ნაბიჯი, რადგან, ეს კომისია უნდა იყოს ერთადერთი ინსტრუმენტი, რომლის რეკომენდაციასაც უნდა დაეყრდნონ „ჩინოვნიკები“ გადაწყვეტილების მიღებისას. მისი თქმით, მერიისთვის ამ კომისიის გარეშე მუშაობა იქნება „ფილტვების და ჰაერის გარეშე მოქმედება“ და გამოთქვა მოსაზრება, რომ მალე მერია კომისიის დაბრუნების ინიციატივას წარადგენს და ამიტომ უმჯობესი იქნება ამ საკითხის დეტალურად გაანალიზება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ ზონალური საბჭოს გაუქმების შემდეგ, გადაწყვეტილებებს მიიღებს ქალაქის მერი და არქიტექტურის სამსახური და დაინტერესდა, მაშინ, როდესაც მიწათსარგებლობის გენ.გეგმა ჯერ არ არის დამტკიცებული, ხომ არ არის ეს მათთვის დამატებითი გამოწვევა. ასევე საინტერესოა, რა ეტაპზეა გენ.გეგმის შემუშავების პროცესი და როდის იგეგმება მისი დამტკიცება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ დედაქალაქის მთავრობის წინასაარჩევნო დაპირება იყო მერიის სამსახურებში არსებული ბიუროკრატიის შემცირება და ერთ-ერთი მათგანია ზონალური საბჭო, რომელსაც, როგორც გიორგი გაბაშვილმა აღნიშნა, არაერთი შეცდომა დაუშვია. ირაკლი ზარქუას თქმით, ეს არ არის საბოლოო გადაწყვეტილება, მოცემულ სიტუაციაში პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო სამსახურმა, სადაც მუშაობენ პროფესიონალები და მისი ინფორმაციით, არქიტექტურის სამსახურის განვითარების მიმართულებით, დაგეგმილია ერთიანი პაკეტის შემუშავება, რომელიც იქნება ნაკლებად ბიუროკრატიული და ქალაქის განვითარების ინტერესებზე მორგებული.

გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, ბიუროკრატიის გაუქმებაში არ იგულისხმება არა ანაზღაურებადი საბჭოების გაუქმება და განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ქ.თბილისის მუნიციპლიტეტის მერია წარადგენს მსგავსი საბჭოს აღდგენის ინიციატივას, რადგან შეუძლებელია არქიტექტურის სამსახურს დაავალო და მოსთხოვო ის ცოდნა, რომელიც მას არ აქვს და არც უნდა ჰქონდეს.

ირაკლი ზარქუამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ზონალური საბჭოს საქმიანობა არ იყო ანაზღაურებადი, მისი არსებობა იმ ფორმით, რა ფორმითაც არსებობდა, იყო ბიუროკრატიის დანამატი, ზედმეტი რგოლი და ამ ეტაპზე საჭოს გაუქმება არის სწორი გადაწყვეტილება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ საბჭოს გაუქმებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება არის დროებითი ღონისძიება, ხოლო უახლოეს მომავალში ჩამოყალიბდება საბოლოო სტრუქტურა, თუ როგორ და რა ფორმით გაგრძელდება ამ მიმართულებით მუშაობა.

თეიმურაზ ბოლოთაშვილმა აღნიშნა, რომ ამა თუ იმ საკითხის განხილვისას, მერიის არქიტექტურის და სხვადასხვა სამსახურები გამოდიოდნენ გამტარის როლში და გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა ზონალური საბჭოს რეკომენდაციაზე დაყრდნობით.

შესაბამისად, გაუგებარი გახდა ისეთი სამსახურის არსებობის საჭიროება, რომელიც არ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას და არ იღებს არავითარ პასუხისმგებლობას. ზონალური საბჭოს გაუქმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არის ამ ეტაპზე მიმდინარე სტრუქტურული რეორგანიზაციის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ხოლო უახლოეს მომავალში საკრებულოს წარედგინება ერთიან კონტექსტში განხილული და ჩამოყალიბებული სტრუქტურა. რაც შეეხება მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმას, არქიტექტურის სამსახურში უკვე წარმოდგენილია ბოლო ეტაპი და ხელშეკრულების ვადის ფარგლებში მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას, ხოლო მის საბოლოო შემუშავებამდე, პერიოდულობით, წარმოდგენილი იქნება ისეთი რეგულაციები თუ შეზღუდვები, რომლებიც ზიანს არ მიაყენებს თბილისის განაშენიანებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი მარინა დათუკიშვილი დაინტერესდა, თუ როდის იწურება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავების ხელშეკრულების ვადა და ასევე, არის თუ არა შესაძლებელი თეიმურაზ ბოლოთაშვილმა, გენ.გეგმაზე მომუშავე ჯგუფთან ერთად, ფრაქციას დღეს არსებული მდგომარეობის შესახებ წარუდგინოს ანგარიში და თუ შესაძლებელია, როდის.

თეიმურაზ ბოლოთაშვილმა განმარტა, რომ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მომუშავე ჯგუფთან გაფორმებული ხელშეკრულების ვადა არის 2018 წლის თებერვლის შუა რიცხვებამდე. რაც შეეხება ფრაქციის ფორმატში ინფორმაციის მიწოდებას, სასურველი იქნება შეხვედრა შედგეს იანვრის თვის პირველ მესამედში.

ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ თბილისის 2018 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ტრანსპორტის განვითარების ერთიანი გეგმა, რომელზე კვლევა და მუშაობა უნდა დაწყებულიყო მიწათსარგებლობის გენ.გეგმასთან ერთად და დაინტერესდა, რამდენად კოორდინირებულად განხორციელდება მუშაობა, რომ ეს ორი მიმართულება ერთმანეთთან შესაბამისობაში იყოს.

თეიმურაზ ბოლოთაშვილმა განაცხადა, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არის ყოვლისმომცველი ხასიათის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს არა მხოლოდ ზონალურ ნაწილს, არამედ საინჟინრო და სხვა მიმართულებებსაც, ხოლო ტრანსპორტის განვითარების გეგმა არის კონკრეტული მიმართულების სტრატეგიული ხასიათის დოკუმენტი, რომელიც მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმასთან უნდა იყოს ინტეგრირებული და თავსებადი.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა აღნიშნა, რომ ნებისმიერ საბჭოს აქვს ერთი პლუსი - კარგად მუშაობს, როგორც საზოგადოებასთან შეხების ასპარეზი და ამიტომ, ზონალური საბჭოს გაუქმებით, დაინტერესებულ საზოგადოებაში შეიქმნება გარკვეული ვაკუუმი. აქედან გამომდინარე, მისი დაბრუნების საკითხს ნუ განვიხილავთ მხოლოდ როგორც შიდა სამსახურეობრივს, ხოლო თუ საბჭოში პროცესები არასწორად მიმდინარეობს და მერიას სურს მისი შეცვლა, უმჯობესია ეს დაარეგულიროს დებულებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის N16-32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „არქიტექტურის სამსახურის“ უფროსმა თეიმურაზ

ბოლოთაშვილმა და განმარტა, რომ საკრებულოს დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება განაპირობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს გაუქმებამ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ მერაბ მამულაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია M_3 კატეგორიის ავტობუსების რვა ერთეულ მარშრუტზე ცვლილებების განხორციელება, რაც გამოწვეულია როგორც დედაქალაქში განხორციელებული ინფრასტრუქტული პროექტებიდან, ასევე მოსახლეობის მოთხოვნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ მერაბ მამულაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია M_2 კატეგორიის ავტობუსების ოცდაოთხ ერთეულ მარშრუტზე ცვლილებების განხორციელება, რაც გამოწვეულია როგორც დედაქალაქში განხორციელებული ინფრასტრუქტული პროექტებიდან, ასევე მოსახლეობის მოთხოვნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ მოსახლეობის მოთხოვნიდან მაქსიმალურად მოკლე დროში, თბილისის აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან, M_3 და M_2 კატეგორიის ავტობუსების მოძრაობის მარშრუტებში ცვლილებების განხორციელებას, შეიძლება ეწოდოს თანამოქალაქეების პრობლემების მოგვარების „პოზიტიური მოდელი“ და ზაჰესის და ავჭალის მოსახლეობის სახელით, მერაბ მამულაშვილს მადლობა გადაუხადა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები მისასალმებელია, თუმცა აღსანიშნავია, რომ პეკინის ქუჩის რეაბილიტაციის გამო, საკმაოდ დიდი მოცულობის M_3 კატეგორიის ავტობუსები მიემართება ბუდაპეშტის ქუჩის გავლით, რაც ძალიან გადატვირთავს ამ ქუჩას და იქ მაცხოვრებელ

მოსახლეობას რომ არ შეექმნას გარკვეული პრობლემები გადაადგილების კუთხით, თითოეული ასეთი საკითხი დეტალურად უნდა იქნას შესწავლილი.

მერაბ მამულაშვილმა განაცხადა, რომ ბუდაპეშტის ქუჩაზე დღეს არსებული მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ კანდელაკის ქუჩაზე სამანქანო მოძრაობა გახდა ცალმხრივი და ამ მიმართულებით, დაგეგმილია განხილვები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისში, აჭარის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.010.006) მდებარე უმრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 38 ოჯახისთვის 45 ერთეული ფართის საკუთრებაში გადაცემა, რაც ჯამში შეადგენს 1992 კვ.მ.-ს. აღსანიშნავია, რომ ეს მოქალაქეები 2002-2005 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე მდებარე ფართებში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ თავმჯდომარე გიორგი გაბაშვილმა აღნიშნა, რომ მსგავს საკითხებთან დაკავშირებით გაზრდილი მიმართვიანობიდან გამომდინარე, კარგი იქნება ერთიანი კრიტერიუმების შემუშავება, რაც ადამიანებს მისცემს შესაძლებლობას თავად განსაზღვრონ, აქვს თუ არა აზრი განცხადების შეტანას.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ გარკვეული კრიტერიუმები ამ ეტაპზეც არსებობს, ესენია: მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ ბინებში ხანგრძლივი ვადით (ექვს წელზე მეტი) ცხოვრება, რასაც ადასტურებენ მეზობლები და შესაბამისი რაიონის გამგეობა. თუმცა, მომავალში შესაძლებელია შემუშავდეს გარკვეული რეგულაცია ან კანონქვემდებარე აქტი, რომელიც დაარეგულირებს აღნიშნულ საკითხს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ კრწანისის რაიონის გამგეობა შეიქმნა 2013 წლის 1 აპრილს და დაინტერესდა, ამ შემთხვევაში როგორ შეძლებს აღნიშნული გამგეობა დადასტურებას, რომ ესა თუ ის მოქალაქე ექვს წელზე მეტია ცხოვრობს ამა თუ იმ მისამართზე. აღნიშნა, რომ რამდენიმე კვირის წინ ფონიჭალაში, მოქალქეებს საკუთრებაში გადაეცათ საცხოვრებელი ფართი, სადაც იყო რამდენიმე პრობლემატური საკითხი, რომლის შესახებაც აცნობეს ირაკლი თავართქილაძეს, თუმცა, მისი დაპირების მიუხედავად, ფრაქციას ამ კონკრეტული შემთხვევასთან დაკავშირებული მასალები დღემდე არ მიუღია და დაინტერესდა, რატომ არ იქნა გადმოგზავნილი ფრაქციის მიერ მოთხოვნილი მასალები ამ დრომდე და რა ეტაპზეა ამ კონკრეტული საკითხის მოგვარების პროცესი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა მარინა დათუკიშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოს ერთ-ერთ სხდომაზე, მის მიერ დასახელებული იყო რამდენიმე ადამიანი, რომლებთან მიმართებაშიც იყო გარკვეული დარღვევები საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით და დაინტერესდა, გაირკვა თუ არა რაიმე ამ მოქალაქეებთან დაკავშირებით. მან ისაუბრა პოლიტკოვსკაიას N8 და N18-ში, მცხოვრებ რამდენიმე ათეულ ოჯახზე, რომლებიც არიან მიწისძვრით დაზარალებულები და მერიის და ეკონომიკის სამინისტროსთან მრავალგზის კომინიკაციის მიუხედავად, მათთვის კონკრეტული ფართების დაკანონება არ მოხდა და გიორგი ბირბიჩაძეს, როგორც ამ ოლქის

მაჟორიტარ დეპუტატს მიმართა „გთხოვთ, იყოთ ამ ხალხის ლობი. მე მხოლოდ გამიხარდება და მადლობას გადაგიხდით ამისთვის“, რადგან ისინი ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან. საუბრის ბოლოს, მარინა დათუკიშვილი დაინტერესდა, შეძლებს თუ არა ირაკლი თავართქილაძე, რომ ფრაქციას, სხდომის ფორმატში, მიაწოდოს ინფორმაცია ამ მხრივ დღეს არსებულ მდგომარეობაზე და უპასუხოს მათ შეკითხვებს.

ირაკლი თავართქილაძემ, კითხვაზე როგორ შეძლებს, რამდენიმე წლის წინ შექმნილი, კრწანისის გამგეობა დაადუსტუროს, თუ რამდენი წელია ცხოვრობს ამა თუ იმ მისამართზე კონკრეტული პიროვნება, განმარტა, რომ ის ლოკაციები, რომლებიც ამ ეტაპზე შედის კრწანისის რაიონში, მანამდე ეკუთვნოდა სხვა რაიონის გამგეობას. გამგეობები კი, თავის მხრივ, ერთმანეთს უზიარებენ მათ ხელთ არსებულ ინფორმაციას, ხოლო ამ უკანასკნელის არ არსებობის შემთხვევაში, გამგეობა აწარმოებს მოკვლევას მიმდებარე ტერიტირიაზე მაცხოვრებელი ადამიანების გამოკითხვით. რაც შეეხება ლილე ლიპარტელიანის მიერ ნახსენებ პრობლემატურ საკითხებს, აღნიშნა, რომ ფოტოებზე დაყრდნობით, ეს არის მშენებარე ობიექტი, თუმცა აღნიშნული ქონება, როგორც არსებული ბინა, 2010 წელს, ეკონომიკის სამინისტროს ბალანზე დარეგისტრირდა, რის შემდეგაც, კონკრეტული პირებისთვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით, გადმოეცა მუნიციპალიტეტს. ეკონომიკის სამინისტროს მიმართ არსებული ნდობის ფაქტორიდან გამომდინარე, ინფორმაციის გადამოწმება ადგილზე მისვლით აღარ მომხდარა, რამაც გამოიწვია დღეს არსებული ხარვეზი. თუმცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მიერ მიწოდებული ინფორმაციის შემდეგ, ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლებმა ადგილზე შეისწავლეს არსებული მდგომარეობა და ამ ეტაპზე, დადგენილების მოქმედება შეჩერებულია სამი ბინის ნაწილში და ამასთან დაკავშირებით, უახლოეს მომავალში, საკრებულოს დასამტკიცებლად წარედგინება განკარგულების პროექტი.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ მხოლოდ 2010 წელზე არ უნდა გაამახვილოთ ყურადღება, რადგან ამ შემთხვევაში ფართს ირეგისტრირებდა ამხანაგობის თავმჯდომარე, რომელიც ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე იყო „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, კერძოდ, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და სავარაუდოდ, იყო კონკრეტული გარიგებები. მისი თქმით, სწორედ იმიტომ, რომ მომავალში არ განმეორდეს მსგავსი რამ, მიზანშეწონილია შემუშავდეს კონკრეტული კრიტერიუმები არა მხოლოდ ცხოვრების წლებთან, არამედ იმასთან დაკავშირებითაც, რომ ბინა არ უნდა იყოს მშენებარე ან გადახურვის გარეშე და ა.შ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ უხერხულია, როდესაც სამსახური საკითხის შესასწავლად მიდის საკრებულოს მიერ თანხმობის მიღების შემდეგ და მიმართა ქონების მართვის სააგენტოს და საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, რომ თითოეული საკითხის დეტალური შესწავლა მოხდეს მანამ, სანამ საკრებულო იმსჯელებს გადაწყვეტილების მიღებაზე.

ირაკლი თავართქილაძე დაეთანხმა გიორგი ტყემალაძეს და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ეს ხარვეზი გამოიწვია ეკონომიკის სამინისტროს მიმართ არსებულმა ნდობის ფაქტორმა, თუმცა აღნიშნულიდან გამომდინარე, ქონების მართვის სააგენტო, თითოეულ ობიექტს შეისწავლის ადგილზე მისვლით და საკრებულოს წარუდგენს დასურათებით. მან ასევე ისაუბრა მარინა დათუკიშვილის მიერ ნახსენებ დარღვევებზე და განმარტა, რომ ის იყო საჯარო რეესტრის ხარვეზი, რომელიც ამ ეტაპზე გამოსწორებულია, კერძოდ, გაუქმდა ძველი რეგისტრაციები და მოქალაქეებს შეუძლიათ ახალი ხელშეკრულების საფუძველზე დაირეგისტრირონ ქონება. რაც შეეხება ფრაქციის ფორმატში შეხვედრას, განაცხადა, რომ ნებისმიერ დროს მზად არის უპასუხოს მათ შეკითხვებს

გიორგი ტყემალაძემ მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს, რომ დაიწყო ძალიან მნიშვნელოვანი და შრომატევადი პროცესი, სადაც შესაძლებელია იყოს გარკვეული

უზუსტობები ან ხარვეზები, რომელთა თავიდან აცილების და საქმის ბოლომდე მიყვანის მიზნით, უმჯობესი იქნება ამ კუთხით ერთობლივი მუშაობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე რამინა ბერაძემ განაცხადა, რომ მთელი თბილისის მასშტაბით არის გაკეთებული ბაზა და 5445 ადამიანი ელოდება საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემას. მისი თქმით, შესაძლებელია ეს რიცხვის შეიცვალოს ადგილზე არსებული მდგომარეობის შესწავლის შემდეგ, თუმცა აღსანიშნავია, რომ კეთდება ყველასთვის სასურველი საქმე და უმჯობესია ვიყოთ კოლეგიალურები და თითოეულმა ჩვენგანმა შეიტანოს წვლილი მის განხორციელებაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძემ ისაუბრა მარინა დათუკიშვილის მიერ ნახსენებ ლოკაციაზე, რომელიც მდებარეობს მის სამაჟორიტარო ოლქში და აღნიშნა, რომ ჯიქიას 18 ერთ-ერთი ყველაზე ცხელი კერაა ვაკის რაიონში, რადგან აქ ცხოვრობს ძალიან ბევრი სოციალურად დაუცველი, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კორპუსში მცხოვრები ერთი ოჯახის წევრები შეიჭრნენ სხვადასხვა ოთახებში და ითხოვენ ყველა ფართის დაკანონებას. აქედან გამომდინარე, ეს საკითხი მოითხოვს დეტალურ შესწავლას, რაშიც თავადაც აქტიურად არის ჩართული და იმედი გამოთქვა, რომ ამ ოჯახების პრობლემაც მოგვარდება.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ რამდენიმე მოქალაქე, რომლებსაც დღეს წარმოდგენილი პროექტით საკუთრებაში გადაეცემა ქონება, ამა თუ იმ რაიონში ფლობს მიწის ნაკვეთს და დაინტერესდა, „რატომ ვეხმარებით ასეთ ადამიანებს“.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ეს ადამიანები მიწის ნაკვეთებს ფლობენ რაიონებში, რაც ამ ეტაპზე არსებული კრიტერიუმების შესაბამისად, არ არის უარის თქმის საფუძველი. თუმცა, მომავალში აღნიშნული რომც განისაზღვროს ერთ-ერთ კრიტერიუმად, ისინი საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას აუცილებლად გადააფორმებენ სხვა პირობაზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე განხილული იყო ის რისკები, რომლებიც გაჟღერდა საკრებულოს სხდომაზე და იქიდან გამომდინრე, რომ ამ ეტაპზე არსებული კრიტერიუმები ბადებს გარკვეულ კითხვებს, შესამუშავებელია დამატებითი მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ ასეთი ტიპის ოჯახები და რომლებიც სამართლიანობის განცდას შეუქმნის არა მარტო მათ, არამედ ჩვენც.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ილია ჯიშკარიანმა ისაუბრა მეტრომშენის დასახლებაში არსებულ მდგომარეობაზე, სადაც მოსახლეობა ცხოვრობს სახელმწიფო მიწაზე უკვე 50-60 წელია და ყველას პრივატიზებული აქვს საცხოვრებელი ფართი, თუმცა ვერ ახერხებენ გაფართოებას, რადგან არ ხდება მათთვის მიწის გადაცემა, რაზეც წარდგენილია ერთობლივი განცხადება და ყველა საჭირო დოკუმენტაცია და დაინტერესდა როგორ შეიძლება ამ მოსახლეობის დახმარება.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხზე, გამგეობასთან ერთად, მიმდინარეობს მუშაობა და დაგეგმილია უახლოეს მომავალში საკრებულოსთვის წარდგენა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ ამ ეტაპზე, ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილია 39 პოზიცია, რომელთაგან 11 მათგანზე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის და გარემოს დაცვის კომისიების რეკომენდაციების გათვალისწინებით, მოთხოვნილია დამატებითი დასაბუთება განსახორციელებელი ცვლილების მიზანშეწონილობის შესახებ. ესენია: 1. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ორთაჭალის ქუჩის ბოლოს, ბოტანიკური ბაღის დამხმარე ტერიტორიიდან არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.01.002.187; 01.18.06.012.019-ზე და მიმდებარედ; 954 კვ.მ.) კონტურის დაზუსტება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონას, სარეკრეაციო ზონა 2-ს, სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 2-ს შორის“; 2. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, რუსთავის გზატკეცილი N50-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.12.023.010-ის მიმდებარედ; 101 კვ.მ.) კონტურის დაზუსტება სარეკრეაციო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს შორის“; 3. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, შატბერაშვილის ქუჩა N50-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.11.065.075; 266 კვ.მ.) კონტურის დაზუსტება სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 3-ს შორის; 4. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, მარუხის გმირები N1-3-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.11.058.063, 01.14.11.058.017, 01.14.11.058.031, 01.14.11.058.072, 01.14.11.058.057, 01.14.11.058.051, 01.14.11.041.026, 01.14.11.058.058-ის ნაწილზე და მის მიმდებარედ; 5607 კვ.მ.) კონტურის დაზუსტება საცხოვრებელ ზონა 3-სა და საცხოვრებელ ზონა 5-ს შორის“; 5. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელი დიღომი, მირიან მეფის ქუჩა N74, მირიან მეფის ქუჩა N70, მირიან მეფის ქუჩა N36-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.038.461, 01.72.14.038.516, 01.72.14.038.357, 01.72.14.038.096, 01.72.14.038.515, 01.72.14.038.094-ზე და მიმდებარედ; 7514 კვ.მ.) კონტურის დაზუსტება საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 3-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს შორის“; 6. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში, მაქს ტილკეს ქუჩის I ჩიხი N11-ში, მაქს ტილკეს ქუჩის I ჩიხი N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.065.011, 01.72.14.065.012, 01.72.14.065.014; 1832 კვ.მ.) კონტურის დაზუსტება სარეკრეაციო ზონა 2-სა და საცხოვრებელ ზონა 3-ს შორის“; 7. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თ. ერისთავის ქუჩა N8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.003.070;10396 კვ.მ.) კონტურის დაზუსტება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად“; 8. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის დასახლებაში,მიქაძის ქუჩა N17-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.10.001.232; 574 კვ.მ.) კონტურის დაზუსტება სარეკრეაციო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 6-ს შორის“; 9. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანა, ფუნიკულიორის ზედა პლატოზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.07.006.101-ის ნაწილზე; 129 კვ.მ.) კონტურის დაზუსტება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონასა და საცხოვრებელ ზონა 1-ს შორის“; 10. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, რჩეულიშვილის ქუჩა N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.02.060.030; 679 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელ ზონა 5-სა და საცხოვრებელ ზონა 6-ს შორის“; 11. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანა, ბესიკის ქ. ნ/გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.07.006.044; 1441 კვ.მ.) კონტურის დაზუსტება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონასა და საცხოვრებელ ზონა 1-ს შორის“. აქედან გამომდინარე, კომისიებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი სხდომაზე განხილული უნდა იქნას აღნიშნული პოზიციების გარეშე. ასევე, 2 პოზიციაზე შესასწორებელია ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ: 1. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, გალავნის ქუჩა N19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.02.041.037; 10 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონას შორის“ საკითხში საკადასტრო კოდი ნაცვლად „N01.17.02.041.037“,

უნდა იყოს „N01.17.02.041.05“ და მისამართი „გალავნის ქუჩა N19“-ის ნაცვლად, უნდა იყოს „გალავნის ქუჩა N32“; 2. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბანი, დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.08.03.659, 81.08.03.140 და მის მიმდებარედ; 5335 კვ.მ.) დაზუსტდეს კონტური სასოფლო-სამეურნეო ზონას, საცხოვრებელ ზონა 1-სა და სტრანსპორტო ზონა 1-ს შორის“ საკითხში მისამართი „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბანი, დიდ ლილოში“-ს ნაცვლად, უნდა იყოს „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბანი, პატარა ლილო, დიდ ლილოში“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 6 დადგენილება და 2 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი